51

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 25 ნოემბერი 201-3- წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „საქავტოტრანსი“, მისი დირექტორის ზურაბ ადამიას სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ---------- მისი დირექტორის ---------- სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ---------- .

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---15--- ლარს ყველა სახის გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 201-3--- წლის ---27 ნოემბერი---.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფორმა № 2- ისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ადგილი

6.1. ანგარიშსწორების ფორმა ---ნაღდი---;

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში;

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ სამუშაოების შესრულებიდან ---2--------- დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება;

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონდებლობით;

8.2. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

8.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

8.4. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

8.5. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელისმოწერის დღიდან 201-3---- წლის ---21 დეკემბერი---------;

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება პირობების შესრულებამდე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმვალობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავების გადაწყვეტის დადგენილ წესს.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

11.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეუქმნას შემსყიდველ ორგანიზაციას ინსპექტირების განხორციელებისათვის საჭირო ყველა პირობა;

11.3. ყველა გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე;

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.3. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 % უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „საქავტოტრანსი“	
საბანკო რეკვიზიტები:	
“საქართველოს ბანკი “	
ა/№ **GE 43 BG 0000000316812900**	
ბანკის კოდი **BAGAGE22**	
საინდ. კოდი 211345089	
დირექტორი ზურაბ ადამია	დირექტორი
“25” XI 2013	